გრიგოლ ჯოხაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ერთი ბიბლიური სიმბოლოსა და ალუზიის თაობაზე დავით აღმაშენებლის ისტორიულ ნარატივში

ცხოველთა სახეების გაანალიზება და მათ სიმბოლურ განსახებათაგან იმ ინფორმაციის წვდომა, რომელიც, ზოგადად, შუა საუკუნეთა ეპოქის მკვიდრის მენტალობის შეცნობაში დაგვეხმარება, მეორე მხრივ კი, ნათელს მოჰფენს ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხს და კონტექსტს, წყაროებს რომ შემოუნახავს, ევროპულმა ისტორიოგრაფიამაც კი გასულ საუკუნეში დაიწყო.

ცხოველებზე, როგორც სიმბოლოებზე, ყურადღება მედიევისტებმა გაამახვილეს. სწორედ ისინი აწყდებოდნენ შუასაუკუნეობრივ ტექსტებსა და სხვა წყაროებში ადამიანთან ერთად გამოსახულ ცხოველს.

ცხოველებმა ეკლესიაშიც ,,შეაღწიეს“ და ფრესკებზეც ,,მოიკალათეს“.

წმ. ბერნარდ კლერვოელი (1091-1153) გაიძახოდა, ეკლესია აავსეს მძვინვარე ლომებმა, უწმინდურმა მაიმუნებმა... და ურჩხულებმა, რის გამოც, მონაზვნები ლოცვას გულს ვეღარ უდებენო.

და მაინც: სასულიერო პირებიცა და მთელი შუასაუკუნეობრივი კულტურაც დიდ ცნობისწადილს ამჟღავნებდნენ ცხოველებისადმი. ეს ცხოველის გააზრებისა და აღქმის ორი ურთიერთსაწინააღდეგო ტენდენციით გამოიხატა.

ერთი მხრივ, საჭირო იყო, შეძლებისდაგვარად მკვეთრად შეეპირისპირებინათ კაცი - უფლის ხატად და მსგავსად შექმნილი, და ცხოველი - მას დაქვემდებარებული, არასრულყოფილი და ზოგჯერ უწმინდური არსება.

მეორე მხრივ, ზოგი ავტორის აზრით, ყველა ცოცხალი არსება ურთიერთდაკავშირებულია, ადამიანი ცხოველს ენათესავება არა მხოლოდ ბიოლოგიურად, ტრანსცენდენტულადაც.

დომინანტური პირველი - კაცისა და ცხოველის ანტაგონიზმის - ტენდენციაა. ამით თუ აიხსნება ის ფაქტი, რომ ცხოველი ასე ხშირად იქცევს ყურადღებას და გამოსახვის ობიექტიც ხდება. ადამიანის ცხოველთან სისტემატურ დაპირისპირებას და ამ უკანასკნელის მდაბალ არსებად, მხეცად, ადამიანურ ღირსებათა ანტიპოდად გადაქცევას, საბოლოოდ, ის მოჰყვა, რომ ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევაში ცხოველი ხდება ყველა მეტაფორის, ყველა ,,მაგალითის“, ყველა შედარების ძირითადი ფიგურა. მისი სიმბოლური გააზრების პერცედენტები მრავლდება. ეს კი იწვევს ყველა იმ საქციელის სასტიკ დაგმობას, რომელიც მცირედით მაინც მიანიშნებს ადამიანის ცხოველით ჩანაცვლებაზე, ან - პირიქით. აქედან უნდა მომდინარეობდეს დაჟინებული შეგონება, რომ დაუშვებელია ცხოველად გადაცმა,

ცხოველის ქცევის წაბაძვა, ცხოველისადმი მიძღვნილი დღესასწაულები ან მისი განდიდება. მეტიც: მათთან ისეთი ურთიერთობის დამყარება, რომელიც დანაშაულად მიიჩნევა, დაწყებული განსაკუთრებული მიჯაჭვულობით მოშინაურებულ არსებებთან (ცხენები, ძაღლები, შევარდნები), და დამთავრებული ისეთი ეშმაკეული და ბილწი ქმედებებით, როგორებიცაა ჯადოსნობა და ცხოველებთან დაცემა (სექსუალური კონტაქტი) (პასტურო 2013, 26-28).

მეორე ტენდენცია ანუ კაცისა და ცხოველის ურთიერთმსგავსების კონცეფცია ერთდროულად ეფუძნება როგორც არისტოტელეს, ისე მოციქულ პავლეს ნააზრევს. არისტოტელესაგან მომდინარეობს იდეა ყველა ცოცხალი არსების ერთიანობის თაობაზე; კერძოდ, იგულისხმება მისი თხზულება ,,სულის შესახებ“, რომელსაც შუა საუკუნეთა ეპოქა რამდენიმე ეტაპად ითვისებდა: მე-13 საუკუნეს, ამ მხრივ, ყველაზე ნაყოფიერად მიიჩნევენ (არისტოტელე 1976, 52-56).

თუმცა ისიც ყურადსაღებია, რომ არც ქრისტიანული ტრადიცია უცხოობდა ცხოველთა სამყაროსადმი მსგავსი დამოკიდებულების გამოვლენას. აქ, უწინარესად, ფრანცისკე ასიზელი უნდა გავიხსენოთ, რომლის პათოსსაც ალბათ მოციქულ პავლეს მოსაზრება განაპირობებდა: [ამაოებისადმი დამორჩილებულს იმის იმედი აქვს, რომ] თვით ქმნილებაც გათავისუფლდება ხრწნილების მონობისაგან, რათა წილი დაიდოს ღვთის შვილთა დიდებასა და თავისუფლებაში (ეპისტოლე რომაელთა მიმართ (8, 21).

ამ ფრაზამ ყველა იმ თეოლოგზე იმოქმედა, ვინც კი მისი კომენტირება იკისრა. ერთნი მისი გააზრებისას ამგვარ იჭვნეულ კითხვებს სვამდნენ:

ნუთუ იესო მართლაც ყველა სულდგმულის გადასარჩენად მოვიდა?

ნუთუ ცხოველებიც ღვთის შვილები არიან?

იესოს თავლაში შობამ ზოგ ავტორს დააბეჯითებინა, მხსნელი მიწაზე ცხოველთა სახსნელადაც გარდამოვიდაო.

იყვნენ სხვა სქოლასტებიც, რომლებიც მეცამეტე საუკუნის მიწურულს სორბონის უნივერსიტეტში ასეთ კითხვებს სვამდნენ:

აღდგებიან თუ არა ცხოველები სიკვდილის შემდეგ?

სასუფეველში მოხვდებიან, თუ მათთვის საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას?

ყველა ცხოველს ელის ეს პერსპექტივა, თუ თითოეული სახეობიდან - თითოს?

აქვთ თუ არა მათ მიწიერ ცხოვრებაში კვირაობით მუშაობის უფლება?

ხომ არ უნდა ვაიძულოთ ისინი, ადამიანებივით იმარხულონ?

დაბოლოს, მთავარი:

მივიჩნიოთ თუ არა ცხოველები ისეთ არსებებად, რომლებიც მორალურად აგებენ პასუხს თავიანთ საქციელზე? (პასტურო 2013, 28).

*

მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა, მოულოდნელი რაკურსი და მღელვარე ინტერესი, რომლითაც შუასაუკუნეობრივი დასავლეთი ცხოველებს უმზერდა, ცხადყოფს, რომ ქრისტიანობა ცხოველებისათვის მათი მდგომარეობის გამოსწორების რეალურ შესაძლებლობად იქცა. ბიბლიურ და ანტიკურ ეპოქაში ცხოველებისადმი ინტერესს არ ავლენდნენ, სძაგდათ ისინი ან მსხვერპლად სწირავდნენ მათ. შუასაუკუნეობრივ ქრისტიანობას ცხოველები ავანსცენაზე გამოჰყავს, მეტ-ნაკლები გონიერებით აღჭურვავს მათ და იმაზე მსჯელობს, პასუხი უნდა აგოს თუ არა ცხოველმა საკუთარ ქცევაზე. და ეს მკვეთრი ცვლილებაა.

*

ჩვენ დავაკვირდით ცხოველთა სახეებს დავით აღმაშენებლის ისტორიულ ნარატივში, რომელთაგან ერთ-ერთზეც ახლა გავამახვილებთ ყურადღებას.

გავიხსენოთ, რას ამბობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ლიპარიტ მეხუთე ბაღვაშზე: ლიპარიტ ამირამ თავის მამა-პაპათ მიბაძა, უსჯულოდ გარდაქმნილი, ბოროტს უქადდა დავითს. მართალია, სახელით ქრისტიანი იყო, მაგრამ მეფის ორგულობა და სიძულვილი წინაპრებისაგან მოსდგამდა. კეთილად ყოფნა არ ინება. ამის შემხედვარე დავითმა მისთვის ჭკუის სწავლება გადაწყვიტა და რამდენიმე ხნით დაატყვევა კიდეც: ეს ვადა საკმარისი იქნებოდა გონიერი კაცისთვის. ერთგულების ფიცის არაერთხელ დადების შემდეგ გაათავისუფლა. რისი მფლობელიც იყო, ისვე დაუტოვა, არაფერი წაურთმევია. კეთილი კაცი ხომ არა თუ კეთილსავე, თვით ბოროტსაც კი იოლად ვერ დაადანაშაულებს, რადგან ბოროტებაში განუსწავლელია და ეჭვებისაგან თავისუფალი. [ლიპარიტმა კი] ძაღლივით ალოკა ამორწყეული, ის ღორივით ჩაწვა მწვირიან ტლაპოში: მტრად მოეკიდა მეფეს და ბოროტს იზრახავდა. მშვიდმა და ღვთიური სიბრძნით აღსავსე დავითმა, როცა იხილა, რომ ძაღლის კუდი არ გასწორდება და ვერც კიბორჩხალა ივლის სწორად, მეორე წელს ისევ შეიპყრო, ორი წელი ციხეში ამყოფა, მერე კი საბერძნეთს (ბიზანტია) გაგზავნა. იქ გარდაიცვალაო (ქართლის ცხოვრება 1955, 325).

ახლა ცალკე გამოვყოთ ის წინადადება, რომელშიც ცხოველთა სახეები გამოიყენება, თანაც ისე, როგორც ეს მე-12 ს.-ში მცხოვრებმა მემატიანემ გამოთქვა:

,,...ხოლო იგი ვითარცა ძაღლი მიექცა ნათხევარსა თვისსა და ვითარცა ღორი ინწუბა სანგორელსა მწვირისასა“ (იქვე).

შეიძლება იფიქრო, რომ დავით აღმაშენებლის ნარატივში არც ერთი შედარება, მეტაფორა თუ ეპითეტი, მოკლედ, არც ერთი რიტორიკული ფიგურა არ იხმარება ოდენ რიტორიკის გულისათვის.

ეს სალეგიტიმაციო ტექსტია და თანაც - პოლემისტური.

უწინარესად, იმას ვგულისხმობ, რომ ამ ტექსტით (მით უფრო, რომ ის ერთადერთია ქართულად დავითზე შემორჩენილ ნარატიულ წყაროთაგან!) უნდა გამართლდეს დავითის ყველა პოლიტიკური ნაბიჯი, ხოტბა შეესხას მათ და მათ ,,ავტორს“, გაიხაზოს მისი როგორც პოლიტიკოსის, ისე (ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია) - ,,მონა ღვთისას“ ყველა ღირსება. საინტერესოა, რომ თუ პოლიტიკოსის შემთხვევაში დაუნდობლობა, ცინიზმი, სისხლის ღვრა უპირობო ღირსებაა, ,,მონა ღვთისა“ უნდა წარმოჩნდეს მლოცველ-მმარხველ-მოწყალედა და ქრისტიანულ ტაძართა მაშენებლად ანუ თვინიერ, თავმდაბალ, გულ და სულშემუსვრილ ადეპტად.

ეს ტექსტი პოლემისტურიცაა-მეთქი: ლამის ყოველ მეორე გვერდზე ავტორი ეკამათება ,,მაბრალობელ-მკიცხველთ“ (მისგანვე ვიგებთ, რომ ასეთებიც ყოფილან!) და ცდილობს დაარწმუნოს ისინი, რომ დავითის ყველა ნაბიჯი - სისასტიკით, დაუნდობლობით, ცინიზმით აღსავსეც და რამდენადმე საჭოჭმანოც - სახელმწიფო ინტერესით იყო ნაკარნახევი.

შუა საუკუნეებში ქრისტიანობა რელიგიაცაა და იდეოლოგიაც. ამიტომ ერთგვარი მსოფლმხედველობრივი ეტიკეტი გულისხმობს, ყველა მიზეზი თუ შედეგი, ყველა ,,ჰო“ და ,,არა“, ყველა ,,რამეთუ“ და ,,ვითარცა“ წმინდა წერილით აიხსნას და დადასტურდეს. ამით არა მხოლოდ კონკრეტული საქციელი მართლდება ან იკიცხება, არამედ ის დგინდება, რომ ქრისტიანული რელიგიური დისკურსი მოქმედი, ყოვლისმომცველი და უნივერსალურია.

ამას გარდა, რაოდენ ცალსახად და ერთმნიშვნელოვნადაც უნდა მიაჩნდეს ტექსტის ავტორს თავისი დრამის მთავარი პერსონაჟის ნებისმიერი საქციელი - ავიცა და კარგიც, ის მოვალეა, დაამოწმოს წმინდა წერილით. შესაძლოა, ეს დღეს ფორმალობად მოგვეჩვენოს და გავიფიქროთ, ტყუილად ირჯის თავს, ისედაც ხომ ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც დავითი მოისურვებდა, რაღა საჭიროა დამოწმება და არგუმენტირებაო: შესაძლოა, მაგრამ არა - იმხანად. ამიტომაც გამოარჩევს ტექსტს მკაფიო ინტენცია. ის იქმნებოდა საერო და საულიერო ელიტისთვის: მათთვისაც, ვინც დავითს გულში მაინც არ ეთანხმებოდა, და მათთვისაც, ვინც მისი მეხოტბე იყო: მათაც სჭირდებოდათ გასამართლებელი ნარატივი, რომელთა ახსნა, განმარტება და ტირაჟირებაც უნდა ეკისრათ. და, ალბათ, ასეც იქცეოდნენ.

ანტიბაღვაშურ პასაჟში შესადარებლად ავტორი ცხოველებს მოუხმობს. ბიბლიური სამყარო ორივე ცხოველს ,,უწმინდურად“ მიიჩნევს: ძაღლსაც და ღორსაც. ბაღვაში კი, დავითის ისტორიკოსის თქმით, ვითარცა ძაღლი მიექცა ნათხევარსა...

ვიდრე, კონკრეტულად, ბიბლიურ პასაჟებს დავიმოწმებდე, უნდა გითხრათ, რომ ეს წინადადება ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს. აქ ნათქვამია, რომ ლიპარიტი ძაღლს იმით დამსგავსებია, რომ ჯერ ამოუნთხევია ის, რაც უჭამია, ანუ უღიარებია თავისი შეცოდება, შეუნანებია თავისი საქციელი და შეუფიცავს მეფისთვის, ასე აღარასოდეს მოვიქცევიო, მაგრამ, როგორც კი თავი სამშვიდობოს დაუგულებია, ძაღლივით ისევ აულოკავს თავის ,,ნათხევარი“, ანუ კვლავაც ღალატის გზას დასდგომია. ძნელი სათქმელია, მართლაც ასე იყო თუ არა, მაგრამ უნდა მივიჩნიოთ, რომ მეტაფორულ ნათქვამში ქმედებათა თანამიმდევრობა ილანდება.

ქართველი მემატიანე ლიპარიტ V-ის (კლდეკარის ერისთავი XI ს. 90-იან წწ.-ში, ივანე II ბაღვაშის ძე) განსაქიქებლად იყენებს ციტატას ახალი აღთქმიდან: კერძოდ, მოციქულ პეტრეს მეორე ეპისტოლედან, რომელშიც ავტორი მათ ეხება, ვინც ქრისტე ირწმუნა, შემდეგ კი კვლავ ძველ სარწმუნოებას დაუბრუნდა: ,,შეემთხჳა მათ ჭეშმარიტისა მისებრ იგავისა: ძაღლი მიექცა ნათხევარსა თჳსსა და ღორი ინწუბა სანგორელსა მწჳრისასა“ (პეტრეს მეორე ეპისტოლე 2:22). სახარებისეული კონტექსტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენ მიერ ,,ამოხაპულ“ ინფორმაციას დავითის ისტორიკოსის ნათქვამიდან: ლიპარიტი, სახარებისეული პერსონაჟებივით, ჯერ დამორჩილებია მეფეს, ჩადენილი შეუნანებია, შემდეგ კვლავ განმდგარა.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ პეტრე ამბობს, მათ ისე დაემართათ, როგორც ეს იგავშია ნაამბობიო. მაშ, ის რომელიღაც წყაროს იმოწმებს.

ბიბლიის ე.წ. აკადემიურ გამოცემებში, წესისამებრ, მითითებულია ხოლმე, რომელ ან რომლის მსგავს გამონათქვამს იმეორებს ესა თუ ის პერსონაჟი. ჩვენს შემთხვევაში ვექტორი სოლომონის იგავებზე მიგვანიშნებს. ავტორი ბრიყვებს განიკითხავს: როგორც ძაღლი უბრუნდება თავის ნანთხევს, ისე იმეორებს ბრიყვი თავის სირეგვნესო (იგავნი სოლომონისა, 26:11).

ამთავითვე მივაქციოთ ყურადღება ორ დეტალს: სოლომონი სულელ, რეგვენ, უმეცარ, უსაქციელო, გაუთლელ, უზრდელ, ხეპრე (ლექსიკონი ,,ბრიყვის“ სწორედ ამ კონოტაციებს გვთავაზობს) ადამიანებს განსჯის და, ერთი შეხედვით მაინც, ურწმუნო ან უსჯულო ხალხზე არაფერია ნათქვამი, თუმცა, ალბათ არც ეს გამოირიცხება;

მეორე მხრივ, აქ არ იხსენიება ,,ღორი“, რომელსაც ვხვდებით პეტრეს ნათქვამში.

გამონათქვამი რომ ძალიან პოპულარული ყოფილა, ამას ადასტურებს წმინდა მამათა (ორიგენე, ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნოსელი, ნეტარი ავგუსტინე და სხვ.) კომენტარები (ბიბლიის კომენტარები 2012).

მორალი, მოკლედ, შეიძლება ასე გამოითქვას: მონანიების არსი ის არის, მომავალში იგივე აღარ ჩაიდინო. ხოლო ის, ვინც ჩვეულ საქმეებს სჩადის, იმ ძაღლს ემსგავსება, თავის ნანთხევს რომ უბრუნდებაო (იოანე ოქროპირი).

ერთი შენიშვნაც: როგორც წმინდა მამები, ისე სხვადასხვა დროის თეოლოგები, წესისამებრ, ერთსა და იმავე კომენტარს ურთავენ ხოლმე პეტრეს გამონათქვამსაც და მის წყაროსაც - სოლომონის იგავთა შესაბამის თავს.

მაშ, ლამის ცალსახაა, რომ ამ გამონათქვამში მოხსენიებული ,,ძაღლი“ მეტაფორაა - უპირო, ცბიერ, ურწმუნო და უნდო ადამიანს აღნიშნავს. აქედან ერთი ნაბიჯია მის სიმბოლურ განაზრებამდე, და ჩვენ წინაშეც შუასაუკუნეობრივი ინტელექტუალური სამყაროს სპეციფიკური სურათი იხატება!

თუმცა თავისთავად საგულისხმებელი როდია, როგორ აღიქვამდა იუდეველი ძაღლს, ვიდრე მისი მეტაფორული მნიშვნელობა დამკვიდრდებოდა.

საქმე ის გახლდათ, რომ ძაღლი ბიბლიაში ხშირად გვხვდება, მაგრამ - იშვიათად დადებითი მნიშვნელობით. იუდეველთა აზრით, ძაღლები საყვარელ შინაურ ცხოველებს კი არა, ხროვას განასახიერებდნენ, რომლებიც მტრებივით შეჰყმუოდნენ ქალაქებს, როგორც ამბობს დავით მეფსალმუნე: მიიქცენ მწუხრი და დაყმებოდიან, ვითარცა ძაღლი, და მოადგენ ქალაქსა (ფს. 58,7).

ძაღლები ნარჩენებით იკვებებოდნენ, ამიტომაც მათ სანარცხე ორმოს უკავშირებდნენ. მათე მახარებლისეული გამოთქმა - ნუ მისცემთ სიწმინდეს ძაღლებს (მათე, 7, 6) - იმას ნიშნავს, რომ ძაღლებს არა - სჯულში წმინდად მიჩნეული საკვები, არამედ მხეცთა მიერ დაძიძგნილი ხორციღა უნდა მიუგდოთ (ჴორცი ნამჴეცავი არა შჭამოთ, ძაღლსა მიუგდოთ იგი, გამოსვლა, 22,31).

ებრაელთა ჩვეულების აღსრულებაში, მტრის შეურაცხსაყოფად დაუმარხაობას რომ გულისხმობდა, ძაღლები, სხვა ცხოველთა მსგავსად, მონაწილეობდნენ: სასიკვდილოდ განწირულთა ,,სისხლს ლოკავდნენ“[1], ცხედრებს ჭამდნენ[2]...

1 და ჰრქუა უცხოთესლმან: მოგვალე და დავსხნე ჴორცნი შენნი საჭმელად მფრინველთა ცისათა და მჴეცთა ქუეყანისათა!, 1 მეფეთა. 17:44; [უფლისაგან გამდგართა მიცვალებულების ძვლებს] განაჴმნენ იგინი წინაშე მზისა და წინაშე მთოვარისა და წინაშე ყოველთა ვარსკვლავთა და წინაშე ყოვლისა მჴედრობისა ცისასა, რომელნი შეიყუარნეს, და რომელთა ჰმსახურეს, და რომელთასა ვიდოდეს შემდგომად მათსა, და რომელთა ერჩდეს და რომელთა თაყვანის-სცეს მათ. არავინ ეტყებდეს და არცა ტიროდენ, არა შეიკრიბნენ, არცა დაეფლნენ და იყუნენ სამაგალითოდ პირისაგან ქუეყანისა, იერემია, 8,2; სიკუდილისა მიერ, ვითარცა ვიტყჳ, მოკუდენ. არა იტყებნენ და არა დაიფლნენ. სამაგალითოდ პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა იყვნენ, და მახჳლისა მიერ დაეცნენ და სიყმილისა მიერ მოესრულნენ. და იყუნენ მძორნი მათნი საჭმელ მფრინველთა ცისათა და მჴეცთა ქუეყანისათა, იერემია, 16,4), (ნაბოთისა) სადაც ძაღლები ლოკავდნენ ნაბოთის სისხლს, იმ ადგილას შენს სისხლსაც ალოკავენ ძაღლები, 3 მეფეთა. 21:19; ლოკავდნენ ძაღლები მის სისხლს, 3 მეფეთა. 22, 38). ერთი კომენტარისამებრ, ძაღლები ლაზარეს ჭრილობებს იმის ნიშნად ულოკავდნენ, რომ მალე უნდა მომკვდარიყო: ,,არამედ ძაღლნიცა მოვიდოდეს და ჰლოშნიდეს წყლულსა მას მისსა“ (ლუკა, 16:21).

2 ვინც ქალაქში მოუკვდება აქაბს, იმას ძაღლები შეჭამენ, 3 მეფეთა 21:24; ვინც ქალაქში მოუკვდება იერობოამს, იმას ძაღლები შეჭამენ, 3 მეფეთა, 14,11; ვინც ქალაქში მოუკვდება ბაყაშას, ძაღლები შეჭამენ, 3 მეფეთა, 16:4). წინასწარმეტყველების აღსასრულებლად, იზებელს ძაღლები შეჭამენ იზრეყელის ველზე და არავინ იქნება დამმარხველი (4 მეფეთა, 9:10), ასეთი იყო უფლის სიტყვა, რომელიც გამოაცხადა მან თავისი მორჩილის, ელია თიშბელის პირით: იზრეყელის ველზე შეჭამენო ძაღლები იზებელს (4 მეფეთა, 9:36).

ძაღლებისათვის დამახასიათებელი ამონთხევის რეფლექსი, რომელიც მათ ლეკვების დაპურებაში ეხმარება, ხელს უწყობდა მათი უწმინდური სახის დამკვიდრებას (სოლომონის იგავნი, 26:11). ნარჩენებით კვებისა და საძაგელ ჩვევათა ლოგიკური ურთიერთკავშირი იმ მოსაზრებას ადასტურებდა, რომ ისინი უწმინდურ ანუ, სჯულის თანახმად, აკრძალულ საკვებს ჭამდნენ.

გადარჩენისათვის ბრძოლა ქალაქის ნაგავსაყრელებზე და ნახევრად ველური არსებობა სულაც არ უწყობდა ხელს ძაღლისა და ადამიანის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბებას. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ძაღლის მოშინაურებაც კი შეუძლებელი იყო: მათ არ ესმოდათ ალერსიანად მოპყრობა.[1] სავსებით რეალური იყო საფრთხე, ძაღლებს შეეჭამე[2]. ძაღლი იყო როგორც გავრცელებული ლანძღვა-გინებისა და შეურაცხყოფის ობიექტი, ისე - შედარებების წყარო. გოლიათს მიაჩნდა, რომ დავითთან შერკინება მის ღირსებას ამდაბლებდა [3]. აშკარა მაამებლურ ქცევას, მორჩილების ნიშნად, კუდის ქიცინს ქვეშევრდომის მლიქვნელობას ადარებდნენ [4]. ძაღლის მარგინალური მდგომარეობა თავისთავად საგულისხმებლად აღიქმებოდა. მის სიკვდილს არავინ დარდობდა. დამონებულ ქვეშევრდომს შეეძლო საკუთარი თავისთვის ,,მკვდარი ძაღლი“ ეწოდებინა[5].

1(რაღა ძაღლის ყურებში ჩაფრენილი კაცი და რაღა სხვის კამათში ჩარეული (სოლომონის იგავნი, 26,17).

2 გარემომადგეს მე ძაღლებ მრავალ და კრებულმან უკეთურთამან გარემომიცვა მე; განჴურიტნეს ჴელნი ჩემნი და ფერჴნი ჩემნი. და აღრაცხეს ყოველი ძუალები ჩემი; მათ მიხილეს მე და განმიცადეს მე (ფს. 21, 17-18).

3 ჰრქუა უცხოთესლმან დავითს: ძაღლი ნუ ვარ მე, რამეთუ არგნითა და ქვითა გამოხვედ ჩემ ზედა? და ჰრქუა: უაღრეს ძაღლთასა ხარ შენ! და დაწყევა უცხოთესლი იგი დავით კერპითურთ მისით (1 მეფეთა. 17:43).

4 ღვთისკაც ხაზაელთან შეხვედრისას, როცა ეს უკანასკნელი არამის მეფის, ბენ-ჰადადის განკურნებას ევედრებოდა, ელისე წინასწარმეტყველი უცებ ატირდა, ვხედავ, როგორ დაიპყრობ ქვეყანას მეფის სიკვდილის შემდეგ და როგორ მოსრავ მოსახლეობასო. ხაზაელმა თავი დაიმდაბლა, ძაღლს გაუტოლდა და ასე უპასუხა: ვინ არს მონა ესე შენი - ძაღლი ერთი, ვითარმცა ქმნა მსგავსად სიტყჳსა მაგის დიდისა? (4 მეფეთა. 8:13).

5 საულის ძის - იონათანის შვილი, წყალობით გაოცებული მეფიბოშეთი ასე მიმართავს დავითს: ,, რა ვარი მე, მონა ესე შენი, რამეთუ მომხედე მე, ძაღლსა ერთსა მკუდარსა, მიმსგავსებულსა ჩემსა?“ (2 მეფეთა. 9:8).

მკვდარ ძაღლს არავითარი ღირებულება არ გააჩნდა[1]. სჯულში ძაღლად მოიხსენებდნენ მეძავსა და ურწმუნოს[2].

,,ძაღლი“ იმ აპოკალიფსურ უწმინდურთა რიგშია, *საღვთო ქალაქის* გარეთ რომ დარჩებოდნენ[3] (ბიბლიურ სახეთა ლექსიკონი).

1 ,,რისთვის აგინებს ეს მკვდარი ძაღლი ჩემს მეფე-ბატონს? წავალ და თავს წავაცლი!“ - ეუბნება მეფე დავითს მისი მსახური“ (2 მეფეთა. 16:9). საულის მიერ დავითის დევნა ,,მკვდარი ძაღლის“ დევნას ედრება: ,,და ვის შეუდგნ და სდევნ მეფე ეგე ისრაჴლისა, ძაღლსა ერთსა მკუდარსა“ (1 მეფეთა. 24:15), და ეს ორმაგ მნიშვნელობას ითავსებს: დავითი იმად არა ღირს, სდევნიდნენ, და ეს სილაჩრის გამოვლინებაა!

2 ,,ნუ შესწირავ შენ სასყიდელსა სიძვისასა, ნუცა ნაცვალსა ძაღლისასა სახიდ უფლისა ღმრთისა შენისა“ (მეორე სჯული, 23:18).

3 ,,გარე იყვნენ შეგინებულნი და მწამლველნი და მეძავნი და კაცის-მკლველნი და კერპთმსახურნი და ყოველი მოყუარე და მოქმედი ტყუვილისაჲ, თანამედროვე ქართულით:ხოლო გარეთ ძაღლები და გრძნეულნი, მეძავნი და მკვლელნი, კერპთმსახურნი და სიცრუის მოყვარენი და მოქმედნი დგანან“ (გამოცხადება, 22:15).

ზოგადადაც, *ახალ აღთქმაში* ,,ძაღლი“ ნეგატიური მნიშვნელობით გვხვდება.

პავლე გაქრისტიანებულ წარმართებს მოუწოდებდა, მორიდებოდნენ ძაღლებს ანუ იუდეველებს (,,ერიდეთ ძაღლებს, ერიდეთ ბოროტის მოქმედთ, ერიდეთ წინადაცვეთას“, ფილიპელთა მიმართ, 3:2).

ის, რასაც პავლე ამბობს, მხოლოდ რიტორიკული ფიგურებისაგან შემდგარი ტექსტი როდია. აქ მთელი საღვთისმეტყველო კამათი ილანდება. ამიტომ გვიწევს მცირე ხნით შეყოვნება.

პავლეს პათოსი მიმართულია იუდეველთა წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ, მისი მოძღვრება გააბიაბრუონ, დააკნინონ ან მოსპონ.

რას ასწავლის პავლე?

ჩვენი ხსნა მხოლოდ ღმერთის მადლსა და წყალობაზე ჰკიდია. ხსნას ვერაფრით დავიმსახურებთ: მხოლოდ იმის მიღება ძალგვიძს, რასაც ღმერთი შემოგვთავაზებს. ამასთან, ღმერთი ყველას მიმართავს და არა - რომელიმე გამორჩეულ ეთნოსსო.

რას ასწავლიდნენ იუდეველები?

ადამიანს ხსნა მხოლოდ იმით ძალუძს, თუ ღმერთის შექებას დაიმსახურებს. ეს როგორღაა შესაძლებელი? სჯულის აღსრულებით. თანაც: ხსნას მხოლოდ იუდეველები მიიღებენ. იუდეველობა კი წინადაცვეთას ნიშნავსო.

პავლე სწორედ მათ იხსენიებს ,,ძაღლად“.

ლუკას სახარებისამებრ, იესო ხალხს უამბობს მდიდრისა და ღატაკი ლაზარეს იგავს. აი, ამ ლაზარეს, რომელიც ,, ნატრობდა მდიდრის ნასუფრალით მოეკლა შიმშილი“, ძაღლები ულოკავდნენ... წყლულებს (ლუკა 16, 21).

იუდეველები ძაღლებს წარმართებს ეძახდნენ. ერთი რაბინული გამოთქმის თანახმად, ,,მსოფლიო ხალხები ძაღლებს ჰგვანან“. გამოდის, რომ პავლე მათივე სიტყვებით განიკითხავს იუდეველებს: სხვა ხალხს ძაღლებად მოიხსენიებთ, არადა, თვითონვე ხართ ძაღლები, რადგან უსირცხვილოდ რყვნით ქრისტეს სახარებასო.

გავიხსენოთ მათეს სახარებაც (7, 6): ,,ნუ მისცემთ სიწმინდეს ძაღლებს: ნურც თქვენს მარგალიტს დაუყრით ღორებს, რათა არ გათელონ იგი თავიანთი ფეხით და მოგიბრუნდნენ და დაგფლითონ თქვენ“.

ამ პასაჟის კომენტირებისას ღვთისმეტყველები ორ ვერსიას გვთავაზობენ, და ჩვენი ინტენციისათვის ორივე გამოსადეგია. ზემოთ ნათქვამი სიტყვები შესაძლოა ნიშნავდეს ქრისტიანთა გამორჩეულობის ხაზგასმას; ან: ეზოტერულ და ეგზოტერულ აღქმას: ვიღაცას შინაგანი თვალით ძალუძს ქრისტეს დანახვა, ვიღაცას - არც გარეგანით.

მაშ, ქართული ნარატივის ავტორი ლიპარიტ ბაღვაშს, ერთი მხრივ, წარმართად, მეორე მხრივ კი - შეუგნებლად, სულიერად ყრუდ და ბრმად მიიჩნევს.
შემდეგი პასაჟი მარკოზის სახარებიდანაა: იესო ეუბნება წარმართ ფინიკიელ ქალს, რომელიც სთხოვს, გააძევოს ეშმაკი მისი ასულიდან: ,,მაცადე, ჯერ დავაძღო შვილები; სად გაგონილა, შვილებს წაართვა და ძაღლებს მიუგდო პური. ქალმა პასუხად მიუგო: დიახ, უფალო, მაგრამ ძაღლებიც ხომ ჭამენ ტაბლის ქვეშ შვილების ნასუფრალს?“ (მარკოზი, 7, 27-28).

ამბობენ, რომ აქ იესო საგანგებოდ იქცევა ასე, რათა შეაფასოს, რამდენად დიდია დედაკაცის რწმენა. გავიხსენოთ: დედაკაცი უცდის, მიუხედავად უარისა. ის თითქოს შეჰგუებია იმას, რომ, რადგან წარმართია, ძაღლიცაა, ოღონდ ამ ,,ჩიხს“ გონივრულ გამოსავალს უძებნის: იუდეველებს აქვთ ,,პური“ შენი სახით, მე კი ამ ,,პურის“ ნამცეცს ვითხოვ, მცირედს შენი წყალობისაგანო.

რას გვეუბნება ამის გახსენება ანტიბაღვაშური დისკურსის გასაგებად? კლავაც იმავეს - ლიპარიტი ნამდვილი წარმართია, ურჯულო, და ა.შ. ის უარესია, ვიდრე წარმართი. წარმართს შესაძლოა სწამდეს ცოცხალი ღმერთისა, და ეს იხსნის. ლიპარიტის ხსნა გამორიცხულია, რადგან ის ურწმუნოა.

*

კიდევ ერთი ტოპოსი *ანტიბაღვაშური* პასაჟისა (ამ პასაჟის მეორე ,,გმირი“ ცალკე მსჯელობას იმსახურებს, აქ კი იმადღა მოვუხმობთ, რომ ჩვენ მიერ პედალირებული ინფორმაცია კიდევ უფრო გავამყაროთ):

,,ხოლო იგი...[ლიპარიტი] ვითარცა ღორი ინწუბა სანგორელსა მწჯრისასა“ (ქართლის ცხოვრება 1955:325).

აქ ,,ღორიც“ ,,ძაღლის“ სიმბოლურ მნიშვნელობას ითავსებს: ვითომ მონანული ლიპარიტი კვლავ ღალატის გზას დასდგომია, კვლავ იმავე ტლაპოში ჩაწოლილა, რომლიდანაც ცოტა ხნის წინ ამოათრიეს.

*

ყოველივე ზემოთქმული რამდენიმე დასკვნის გამოტანისაკენ გვიბიძგებს:

ა. ჩვენ მიერ განხილული პასაჟი, რომლის მნიშვნელობაც ლამის თავისთავად საგულისხმებლად მიიჩნევა, შეიცავს უპირო, ცბიერი, ურწმუნო და უნდო ადამიანის სიმბოლოს. მისი წვდომა იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც შუასაუკუნეობრივი ინტელექტუალური სამყარო სწორედ სიმბოლოებით აზროვნებს.

ბ. ჩვენ წინაშე ციტატაა პავლეს მეორე ეპისტოლედან.

გ. ეს ალუზიაცაა, რომელიც ძველი აღთქმისაკენ, კერძოდ, სოლომონის იგავებისაკენ გვამისამართებს.

დ. ეს სალეგიტიმაციო ჩანართია: ლიპარიტის თავს დატეხილი რისხვა წმინდა წერილით უნდა გამართლდეს. ეს ამბივალენტური აქტია, როცა ერთი ქმედება მეორიდან გამომდინარეობს: მეფის ნაბიჯს სამართლიანად მიიჩნევ, რადგან მემატიანე წმინდა წერილით ოპერირებს, ან - პირიქით.

ე. ძალზე მნიშვნელოვანია იმის ზუსტად ცოდნა, საიდან იღებს სათავეს ესა თუ ის პასაჟი, აქცენტი თუ რიტორიკული ფიგურა, რათა ისტორიული წყაროდან უფრო მეტი ინფორმაციის წვდომა და საინტერპრეტაციოდ მეტი მასალის მოპოვება შევძლოთ. საშურია როგორც თავწყაროს მიკვლევა, ისე მის შესახებ გამოთქმული კომენტარების გაანალიზებაც.

მითითებანი

არისტოტელე 1976. АРИСТОТЕЛЬ, СОЧИНЕНИЯ В ЧЕТЫРЕХ ТОМАХ, ТОМ 1, ИЗДАТЕЛЬСТВО СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ МЫСЛЬ, МОСКВА, 1976

ბიბლიის კომენტარები 2012. Библейские комментарии отцов Церкви и других авторов I- VIII веков. Ветхий Завет. Том IX: Притчи Соломона, Книга Екклесиаста, Песнь Песней, Пер. с англ., греч., лат., копт, и сир. Под редакцией Дж. Роберта Райта / Русское издание под редакцией Д.С. Бирюкова. - Тверь: Герменевтика, 2012

ბიბლიურ სახეთა ლექსიკონი. Райкен Л., Уилхойт Д., Лонгман Т., Словарь библейских образов, https://azbyka.ru/otechnik/Spravochniki/slovar-biblejskih-obrazov/202

იოანე ოქროპირი. ТОЛКОВАНИЯ СВЯЩЕННОГО ПИСАНИЯ, Толкования на 2 Пет. 2:22, http://bible.optina.ru/new:2pet:02:22

პასტურო 2013. Мишель Пастуро, Символическая история Европейского Средневековья, Санкт-Петербург, ALEXANDRIA, 2013

ქართლის ცხოვრება 1955. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, სახელგამი, თბილისი, 1955

Grigol Jokhadze

Ilia State University (Tbilisi)

Towards One Biblical Symbol and Allusion in the Historical Narrative of David the Builder

Abstract

The paper deals with the images of animals and their role and significance in the Georgian Medieval Historical Narrative. European intellectuals opposed Man, created in God's Image, after His likeness, to animals, as the subordinates, defective and sometimes the evil creatures. One could concede that this attitude was popular in Georgia too.

Assessing Liparit V Bagvashi, one of the main opponents of David the Builder, chronicler compares him to a "dog" which is from the Biblical discourse, in particular: "The dog is turned to his own a vomit again; and the sow that was washed to her wallowing in the mire".

As the research has shown, on the one hand, we deal with the symbol of double-dealer, willy, godless person; on the second, this is the quotation from New Testament, in particular, the second epistle of Peter; and on the third hand, we have in front of us the indirect reference that makes allusions to Old Testament, in particular, Solomon proverbs.

It is extremely significant to know exactly the origin of tropes and images, used by chroniclers, in order to get more possible information from the historian source and more materials for diverse interpretations.

Key words: symbol, allusion, Bible, David the Builder," the dog", interpretation